საქართველოს კონსტიტუციაში პირის დაკავების და პატიმრობის საკითხებს ცალკე მუხლი ეთმობა, ე.ი ადამიანის თავისუფლების უფლება კონსტიტუციური უფლებაა. „კონსტიტუცია იცავს ადამიანის თავისუფლებას და გახანტიხებულია ახა მაჩვო მაგეჩიადუხი სამაჩთღის ნოხმით, ახამედ კონსტიტუციუხ ხანგში აყვანიდი პხოცესუადუხი ნოხმებით, ხაც ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ ადგილს ძიხითად უფლებათა სისტემაში“¹ ამ ფონზე, საქართველოს სასამართლოები არცთუ იშვიათად იყენებენ ბლანკეტურ დასაბუთებას, რაც ცალსახად წარმოადგენს პრობლემას.

საკვანძო სიტყვები: პატიმრობა, აღკვეთი, კონსტიტუცია, ევროსასამართლო, ევროკონვენცია

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის № 2/1/415 გადაწყვეტილება, II-1.

აღკვეთის ღონისძიება, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (შემდგომში სსსკ), წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიებას.² მისი სწორად შერჩევა უმნიშვნელოვანესი საკითხია, რათა დაცული იქნეს როგორც საზოგადოების, ისე ბრალდებულის უფლებები და ინტერესები. შესაბამისად, პატიმრობის გამოყენებას აქვს „პრევენციულ-უზრუნველმყოფელი ხასიათი“.³ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენების საკითხი, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ყველა კონკრეტულ საქმეზე პროკურორმა შუამდგომლობაში, ხოლო მოსამართლემ განჩინებაში, ინდივიდუალურად დაასაბუთოს პატიმრობის გამოყენების გარდაუვალი საჭიროება.

აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების დასაბუთების საკითხი აქტუალურია როგორც სისხლის სამართლის მეცნიერებაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში. არსებული სტატისტიკური მონაცემები, პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით, საკითხს კიდევ უფრო მეტ აქტუალობას სძენს. ჩვენი კვლევის საგანია ინდივიდუალურად დასაბუთების მნიშვნელობის დადგენა პატიმრობის გამოყენების დროს. ასევე, ამ საკითხთან დაკავშირებული ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა-ანალიზი. სტატიის მიზანია სამეცნიერო ლიტერატურის, ეროვნული სასამართლოს პრაქტიკისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში: ევროსასამართლო) გადაწყვეტილებების შესწავლა-დამუშავება და პრობლემის გადაწყვეტის გზების მოძიება.

კვლევის მეთოდს წარმოადგენს თეორიული ანალიზი, სამეცნიერო ლიტერატურის, ქართული და ევროპული სასამართლოს პრაქტიკული საქმიანობის შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემების განზოგადება. ჩვენს მიერ გამოყენებულია იურიდიული მეცნიერებისათვის რელევანტური შემდეგი სახის

2 საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, ავტორთა ჯგუფი, თბილისი, 2012, 215.
3 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა ჯგუფი, თბილისი, 2015, 558.

კვლევის მეთოდები: შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური, სტატისტიკური.

1. კონსტიტუციური და ევროპული სტანდარტები აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენებისათვის

სტატიაში განხილული საკითხი რომ აქტუალურია და მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საქართველოში, ამაზე მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული 2022-2023 წლის სტატისტიკური მონაცემები.⁴ პირველი ინსტანციის სასამართლოებში 2023 წელს პროკურატურის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახე 6 494 შემთხვევაში იყო პატიმრობა. სასამართლოს მიერ 4 479 შემთხვევაში პატიმრობის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ე.ი თითქმის 70% შემთხვევაში სასამართლომ გამოიყენა ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. 2022 წელს პროკურატურის მიერ წარდგენილი 6 864 პატიმრობის შუამდგომლობიდან, სასამართლომ დააკმაყოფილა 4 830 (ე.ი 70%-ზე მეტი).

საქართველოს კონსტიტუციით (შემდგომში კონსტიტუცია) დაცულია ადამიანის თავისუფლება.⁵ „ეს ნიშნავს, რომ იგი იცავს თითოეული ადამიანის თავისუფლებას სახედმწიფოს მხიდან ყოველგვარი ახამაიბრობიერი ან თვითნებური ხერხებისაგან“.⁶ სწორედ ეს დაცვის გარანტია უნდა მოქმედებდეს მაშინ, როდესაც პირის მიმართ გამოიყენება პატიმრობა. ამ ღონისძიების საფუძვლების არსებობამ, თავისთავად, არ უნდა შთანთქმოს ადამიანის თავისუფლების უფლება. „ადამიანის ხედშეუხებლობა გულისხმობს თავისუფლებას ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანებისაგან, ანუ ფიზიკური და სუბიექტური სიმართლეს“.⁷ საქა-

4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე განთავსებული სტატისტიკური მონაცემები; <https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/statistics/sixli2023.pdf> (გადამოწმების თარიღი 1.12.2024);
5 საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი, კონსტიტუციის ძველი რედაქციის მე-18 მუხლი.
6 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. (2013). პაატა ტურავას რედაქტორობით, გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 130.
7 CCPR/C/GC/35, General Comment No35 – article 9 (Liberty and Security of Person), 28.10.2014, I-3, I-5, I-6.

რთველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი არ არის პირის ბრალეულობის მტკიცება, იგი წარმოადგენს „მახტომსა-ჯუდების ჭეხოვანი განხორციელების ხელშეშლის პრევენციის საშუალებას“.⁸ თავისუფლების უფლების შეზღუდვით ადამიანი მოკლებული რჩება სხვა უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. ამიტომ, ამ უფლებაში ჩარევა მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს და ჩარევის სტანდარტები უნდა იყოს ძალიან მაღალი. არსებობს თავისუფლების უფლებაზე ზემოქმედების სამართლებრივი ფორმები, რომლებზეც კონსტიტუციის მე-13 მუხლის სხვადასხვა პუნქტებიც მიუთითებს. განსხვავებულია მათგან დაცვის კონსტიტუციურ სამართლებრივი გარანტიები.⁹

საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად მისი აღიარების შედეგად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია იურიდიულად სავალდებულო გახდა ეროვნულ დონეზე.¹⁰ ტერმინი „თავისუფლება“ კონსტიტუციის მე-13 მუხლის ანალოგიურად განიმარტება კონვენციის მიზნებისთვისაც. „პიროვნების ხელშეუხებლობის“ ცნება შეიძლება გაიგივებული იქნეს თავისუფლების თვითნებური აღკვეთის დაუშვებლობის ვალდებულებასთან.¹¹

საქმეზე „ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ ნათლად ჩამოაყალიბა პირადი ხელშეუხებლობის ელემენტი: ა) „თავისუფლება“ და „პირადი ხელშეუხებლობა“ ქმნის ერთიანი ძირითადი უფლების შემადგენლობას, რომელშიც პირადი ხელშეუხებლობა შეეხება თავისუფლების აღკვეთის გარემოებებს; ბ) „პირადი ხელშეუხებლობა“ არსებითად გულისხმობს თავისუფლების აღკვეთის დროს სამართლებრი-

ვ-სახელმწიფოებრივი პრინციპების დაცვას; გ) ამის შედეგად, თავისუფლების აღკვეთა უნდა ხორციელდებოდეს წინასწარ განჭვრეტადი, გადამოწმებადი წესების საფუძველზე და კეთილსინდისიერად.¹²

ევროპული მტკიცებულებითი სტანდარტი აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისათვის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ქართულ კანონმდებლობაში დადგენილი სტანდარტისაგან. როცა ხდება აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება, მისი შეფარდების, ისევე როგორც მთელი მისი გამოყენების პერიოდის განმავლობაში, უნდა არსებობდეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში: კონვენცია) შესაბამისად საფუძვლიანი ეჭვი არ მოიაზრებს მტკიცების იგივე სტანდარტს, რაც მსჯავრდებისთვის მოითხოვება.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, დასაბუთებული ვარაუდის არსებობა, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, თავისუფლების თავდაპირველი შეზღუდვის მართლზომიერების აუცილებელი პირობაა. მაგრამ, ასევე უნდა არსებობდეს კიდევ სხვა „რელევანტური“ და „საკმარისი“ გარემოებები, რომლებიც ამართლებენ პირის პატიმრობაში ყოფნას.¹³ კონვენცია პირდაპირ მიუთითებს, რომ პატიმრობის გამოყენება სასამართლოს მიერ უნდა მოხდეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც სხვა ვერცერთი ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას. „ეხოვნური სასამართლო ხედისუფლება, მე-5.3 მუხლის ძალით, ვადებუღია, განიხილოს ბხადებუღის სასამართლო ხოცესზე გამოცხადების უხუნვეყოფის აღგეხნატიუღი ღონისძიებები“.¹⁴

8 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 26 ივნისის საოქმო ჩანაწერი #646, II-40.

9 ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, 106, 109-110.

10 კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004, 42.

11 ლიჩი ფ., ლევის-ენტონი ს., სტრაისტეანუ დ. და სხვ., თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (მე-5 მუხლი), თბილისი, 2009, 13.

12 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. (2013). პაატა ტურავას რედაქტორობით, გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 132; NikolaiSvili v. Georgia,[2009], ECHR, no. 37048/04 §52-53.

13 იხ., შტოგმიულერი ავსტრიის წინააღმდეგ (Stögmüller v. Austria), განაცხადი no. 1602/62, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1969 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 4); სულაოია ესტონეთის წინააღმდეგ (Sulaoja v. Estonia), განაცხადი no. 55939/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, პუნქტი 64.

14 მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017,

სსსკ ითვალისწინებს პატიმრობის ალტერნატიულ ღონისძიებებს: გირაო, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა და პატიმრობა. ალკვეთის ღონისძიებასთან ერთად ბრალდებულის მიმართ შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს დამატებითი ალკვეთის ღონისძიებები.¹⁵

2. ალკვეთის ღონისძიების სახელ პატიმრობის გამოყენების მიზნები და საფუძვლები

სსსკ-ის პატიმრობისთვის ადგენს ისეთივე მიზნებს და საფუძვლებს, რაც ზოგადად ალკვეთის ღონისძიებისთვის არის განსაზღვრული. ალკვეთის ღონისძიების მიზნებია: ბრალდებულის სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფა, ბრალდებულის შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა, განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფა.¹⁶ კანონმდებელი სასამართლოს უტოვებს შესაძლებლობას, თავად განსაზღვროს - რა ხარისხით არის წარმოდგენილი საფრთხე. თუ საფრთხე მაღალი ხარისხით არსებობს, შესაძლებელია პატიმრობის გამოყენება, ხოლო სხვა შემთხვევაში სავალდებულოა სხვა, ნაკლებად მკაცრი ღონისძიების შეფარდება.

ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განაცხადა, რომ თითოეული მიზნის in abstracto გამოყენება ალკვეთის ღონისძიების დასაბუთებისათვის დაუშვებელია და იგი უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ ფაქტობრივ საფუძველს. სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული საფუძველი არ შეიძლება იყოს „ზოგადი და აბსტრაქტული“. სსსკ-ი ით-

ვალისწინებს ალკვეთის ღონისძიების სამკონკრეტულ საფუძველს: დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.¹⁷ ამა თუ იმ ტიპის ალკვეთის ღონისძიების გამოსაყენებლად აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილი საპროცესო საფუძვლებიდან, მინიმუმ, ერთის არსებობა.

2.1. ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, როგორც პატიმრობის საფუძველი

ყველა გადაწყვეტილება, სადაც სასამართლო მიუთითებს საფრთხის არსებობაზე ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე და მხოლოდ ამ საფუძვლით იყენებს პატიმრობას, შეუსაბამოა კონსტიტუციასთან, სსსკ-თან და საერთაშორისო სტანდარტებთან. „პროცესის მწარმოებელმა ორგანომ უნდა ამტკიცოს კონკრეტული, ობიექტურად იდენტიფიცირებადი საფრთხის რეალურად არსებობა“. ევროპული სასამართლოს განმარტებით, უნდა არსებობდეს კონკრეტული ფაქტები, რომლებიც მიუთითებენ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს გარემოებები მნიშვნელოვანია, ცალკე აღებული თითოეული მათგანი მაინც არასაკმარისი საფუძველია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირმა შესაძლოა კვლავ ჩაიდინოს ახალი დანაშაული.¹⁸ მსჯელობა იმაზე, რომ ძალადობრივი დანაშაული „უტყუარი გარემოებაა“, რომელიც ახალი დანაშაულის ჩადენის მომასწავებელია, არ შეესაბამება ევროპული სასამართლოს მიდგომას, რომლის თანახმადაც, ბრალად შერაცხული ქმედების ბუნებაზე მითითება აბსტრაქტულია და არ ამართლებს

50, აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო მსჯელობს საქმეზე „პუნცელტი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“ [2000] ECHR, no. 31315/96.

15 დეტალურად იხ. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ (2024 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, გამოქვეყნებული საიტზე: matsne.gov.ge) 199-205-ე მუხლები, 199-ე მუხლის მეორე ნაწილი.

16 „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ (2024 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, გამოქვეყნებული საიტზე: matsne.gov.ge) 198-ე მუხლის 1 ნაწილი.

17 „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ (2024 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, გამოქვეყნებული საიტზე: matsne.gov.ge) 198-ე მუხლის მეორე ნაწილი; ამ საკითხზე იხ.: Boicenco v. Moldova, [2006], ECHR, § 142-143.

18 ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, საია, თბილისი, 2012, 50; ამ საკითხზე საინტერესო საქმეა: Aleksandr Makarov v. Russia, [2009], ECtHR, no. 15217/07, §134.

ახალი დანაშაულის ჩადენისა თუ მართლმსაჯულებაში ჩარევის საფრთხეს, როგორც პატიმრობის საფუძველს.¹⁹

ეროვნული სასამართლო ასე თუ ისე ითვალისწინებს, რომ ერთის მხრივ, ბრალდებული და მეორეს მხრივ, დაზარალებული და სხვა პირები ოჯახის წევრების და პარტნიორების სახით, წარმოადგენენ დაპირისპირებულ მხარეებს. აღნიშნულის გამო, სასამართლომ შესაძლოა მიიჩნიოს, რომ ბრალდებულს თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში გააგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას.²⁰

2.2. ბრალდებულის მიმალვის საფრთხე, როგორც პატიმრობის საფუძველი

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ერთ-ერთი საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში. მიმალვის საფრთხის არსებობის დასადაგენად მნიშვნელოვანია, განხილულ იქნეს კონკრეტული საქმის ყველა გარემოება და მოსალოდნელი სასჯელის ხასიათი. ამასთან, უნდა შეფასდეს, „სასჯელის სიმძიმემ შეიძლება თუ არა წარმოშვას მიმალვის სურვილი და ამასთან, იმ ობიექტური გარემოებების არსებობა, რამაც შეიძლება სისრულეში მოიყვანოს ბრალდებულის ასეთი სურვილი“.²¹

მიმალვის საფრთხესთან დაკავშირებით განვიხილავთ საფრთხის შემცველ გარემოებებს ეროვნული და ევროპული სამართლის ქრილში. მათ შორის:²²

19 ამ საკითხზე საინტერესოა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: *Bykov v. Russia*, (2009) ECHR, no. 4378/02, §64; *Lakatoš and Others v. Serbia*, (2014) ECHR, no. 3363/08 §97 და *A.B. v. Hungary*, (2013) ECHR, no. 33292/09 § 23-26.

20 მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017, 69; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 მაისის განჩინება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, საქმე no. 10ა/3042-14.

21 ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, საია, თბილისი, 2012, 49.

22 ამ საკითხზე საინტერესოა შემდეგი საქმეები: *Yagci and Sargin v. Turkey*, [1995] ECHR, no.16419/90; 16426/90 და *Letellier v. France*, [1991], ECHR, no. 12369/86. ფა-

1. პირის სასამართლოში გამოცხადებლობის საფრთხის დასაბუთებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები.²³ სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს პირის საკუთარი ინიციატივით გამოცხადებას სამართალდამცავ ორგანოში. ასევე, ყველა სხვა ფაქტობრივ გარემოებას და წარსულ გამოცდილებას, რაც ამყარებს ან გამორიცხავს ასეთი საფრთხის რეალურობას;
2. საქართველოს საერთო სასამართლოები, როგორც წესი, იზიარებენ ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომ ბრალდების სიმძიმე და სასჯელის სიმკაცრე რელევანტური, მაგრამ არასაკმარისი გარემოებაა და, ცალკე აღებული, ვერ ამართლებს პატიმრობის გამოყენებას. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლო განმარტავს, რომ ის გარემოება კი, რომ მოსალოდნელი სასჯელი მკაცრია, ბრალდებულს ბრალი ედება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ჩადენაში, მართო აღებული არ წარმოადგენს მიმალვის საფრთხის გამართლების საშუალებას;²⁴
3. ევროპულმა სასამართლომ საქმეში „სოფინი რუსეთის წინააღმდეგ“ (*Sopin v. Russia*, [2013], ECHR, no. 57319/10) ის ფაქტორები, რომ განმცხადებელს ჰქონდა პასპორტი, ჰყავდა ნათესავები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ რუსეთის საზღვრებს გარეთ, ხშირად მოგზაურობდა და ჰქონდა დიდი ფინანსური რესურსები, შეაფასა როგორც მიმალვის რეალური რისკების არსებობის მაგალითი;

ფიაშვილი ლ., დაკავების და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძველები სისხლის სამართლის პროცესში, სტატიათა კრებული. თბილისი, 2010, 176-177.

23 ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, საია, თბილისი, 2012, 48-49.

24 *Mikhailchuk v. Russia*, [2015], ECHR, no. 33803/04, §53-59; *Ahmet Ozkan and other v. Turkey*, [2004], ECHR, no. 21689/93, §397-398; *Belchev v. Bulgaria*, [2004], ECHR, no. 39270/98 §82; *Kostadinov v. Bulgaria* [2008], ECHR, no. 55712/00 §78-80; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 ივლისის განჩინება აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ, საქმე no. 1/953-13, გვ. 2.

4. ევროპული სასამართლო პირის კავშირებს იმ სახელმწიფოსთან, სადაც ის არის დაპატიმრებული და მის საერთაშორისო კონტაქტებს მიიჩნევს მნიშვნელოვან გარემოებად. ასევე, სამსახურის არარსებობა და ოჯახის არქონა არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე;²⁵
5. ევროპული სასამართლო მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ბრალდებულის პიროვნულ თვისებებს, მათ შორის, ნასამართლობას. ასევე, ყურადღებას ამახვილებს ბრალდებულის ხასიათსა და მორალზე. მიმალვის საფრთხე უნდა შეფასდეს ყველა იმ გარემოების ქრილში, რომელიც პირს სისხლის სამართლებრივი დევნის ქვეყანასთან აკავშირებს.²⁶

2.3. მტკიცებულებების განადგურების საფრთხე, როგორც პატიმრობის საფუძველი

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ერთ-ერთი საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული განადგურების საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. ბრალდებულის მიერ მტკიცებულებების განადგურების ან/და მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლის საფრთხე არ შეიძლება რელევანტური იყოს პროცესის წარმოების ყველა ეტაპზე. მხედველობაშია მისაღები კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებები.²⁷ მნიშვნელოვანია, რომ ბრალდების მხა-

რემ კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით დაასაბუთოს ბრალდებულის შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხზე.

ეროვნული სასამართლო ხშირად ზოგადად უთითებს იმ ფაქტზე, რომ სამართლის საქმეზე ჩასატარებელია კიდევ მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები. დასაკითხია მოწმეები და სხვა. საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების აუცილებლობით პატიმრობის დასაბუთება მიუღებელია ევროპული სასამართლოს პრაქტიკით. საქმეზე „მინიშვილი რუსეთის წინააღმდეგ“ (Miminoshvili v. Russia, [2011], ECHR no. 20197/03 §86), სადაც ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით პირის პატიმრობა დაუშვებელია გამართლდეს, ვინაიდან საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, როგორც წესი, ბრალდებულის აუცილებლად დაპატიმრებას არ მოითხოვს.²⁸

თუ პირი ბრალდებულია ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომელიც დაკავშირებულია მტკიცებულებების განადგურებასთან, დოკუმენტების გაყალბებასთან, მასალების ფალსიფიკაციასთან და სხვა მსგავს ქმედებასთან, არსებობს მტკიცებულებების განადგურების ან განადგურების მცდელობის მაღალი ხარისხი, მაგ. თაღლითობის და დოკუმენტის გაყალბების საქმეები.²⁹ ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა საქმეზე „კოლევი ბულგარეთის წინააღმდეგ“ (28.07.2005). განმცხადებელმა ჩაიდინა თაღლითობა, რაც გამოიხატა ყალბი პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და სხვა დოკუმენტაციის დამზადებასა და ბანკში წარდგენაში, რის მეშვეობითაც, მან ბანკიდან გამოიტანა დიდი თანხა.

ბრალდებულის მიერ მტკიცებულებების განადგურების ანდა მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლის საფრთხე შეიძლება არსებობდეს, თუ ბრალდებულს აქვს გარკვეული სახის კავშირები პროცესის მონაწილეებთან. როგორც ევროპული სასამართლო განმარტავს, ბრალდებულის სამსახურებრივი სტატუსი რელევანტურია

25 Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights, Updated on 30 April 2018, pg. 36, § 203, ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ევროსასამართლოს მსჯელობა საქმეში „ვ შვეიცარიის წინააღმდეგ“ (W. v. Switzerland, [1993], ECHR, no. 14379/88).

26 მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017, 58; იხ. მაგ.: Becciev v. Republic of Moldova [2005], ECHR no. 9190/03, §58; W. v. Switzerland, [1993], ECHR, no. 14379/88 §33.

27 იხ. Letellier v. France, 26 June, 1991; Yagci and Sargin v. Turkey, 8 June, 1995. ფაფაიშვილი ლ., დაკავების და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში, სტატიათა კრებული, თბილისი, 2010, 176.

28 მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017 წ. 83.

29 საქმეში „ვ შვეიცარიის წინააღმდეგ“ (26.01.1993).

მონმეებზე ზემოქმედების საფრთხის დასაბუთებლად, თუმცა ამავედროულად, სასამართლო ეჭვქვეშ აყენებს ამ არგუმენტის რელევანტურობას, მაშინ როდესაც ბრალდებული გაანთავისუფლეს სამსახურიდან.³⁰ თანამდებობრივ დანაშაულებში ბრალდებული პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, ბრალდების მხარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ მტკიცებულებათა განადგურება შესაძლოა თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენებითაც. სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ დროს უნდა შეფასდეს გამოძიების და სასამართლო პროცესის წინსვლა, ბრალდებულის პიროვნება, მისი ქცევა დაკავებამდე და დაკავების შემდეგ, კონკრეტული ქმედებები, რომლებიც მის განზრახვაზე მიუთითებს გაანადგუროს ან გააყალბოს მტკიცებულებები ან მონმეებზე მოახდინოს ზეგავლენა.

3. ბრალდებულის ინდივიდუალური ბარემოებების შესახებ სასამართლოსთვის ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობა

ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლოს კანონით უნდა დაევალოს დაადგინოს ბრალდებულის ინდივიდუალური გარემოებები. სსსკ-ის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, მოსამართლეს ევალება მხოლოდ ბრალდებულის ვინაობის დადგენა და არ არის მკაცრი მითითება მისი ინდივიდუალური გარემოებების დადგენის შესახებ.³¹ მოსამართლეს კანონმდებელმა პირდაპირ უნდა დაავალოს, რომ პროცესზე დაადგინოს ბრალდებულის პიროვნული და ინდივიდუალური გარემოებები. კანონმდებელი ითვალისწინებს, რომ აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლემ

უნდა გაითვალისწინოს ბრალდებულის პირადი მონაცემები, მაგრამ როგორც პრაქტიკა და სტატისტიკა აჩვენებს, მხოლოდ ეს ჩანაწერი საკმარისი არ არის.

კანონმდებელი არ ავალდებულებს სასამართლოს საფრთხეების განსაკუთრებული დასაბუთება მოახდინოს პატიმრობის გამოყენებისას. აღნიშნული ეწინააღმდეგება ევროსასამართლოს მიდგომებს. მიგვაჩნია, რომ საფრთხის მაღალი ხარისხის ინდივიდუალურად დასაბუთების ვალდებულება საკანონმდებლო დონეზე უნდა გაიწეროს. ასევე, სასამართლომ ინდივიდუალურად უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ ვერ უზრუნველყოფს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება საპროცესო მიზნების მიღწევას.³²

კოდექსის მოქმედი რედაქცია ადგენს, რომ აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას „მოსამართლე ითვალისწინებს“ ბრალდებულის პიროვნების, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას და ა.შ.³³ აღნიშნული ჩანაწერი მკაფიოდ არ ადგენს მოსამართლის ვალდებულებას, რომ მან გაითვალისწინოს ეს გარემოებები, რაც ქმნის მუხლის არასწორად განმარტების პრაქტიკას. მიგვაჩნია, რომ კანონი მოსამართლეს პირდაპირ უნდა ავალდებულებდეს ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებას პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლომ პრიორიტეტულად უნდა გაითვალისწინოს პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების საკითხი. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობით ეს ვალდებულება სასამართლოს პირდაპირ დაკისრებული არ აქვს. ეს საკითხი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია და თუ სისხლის საპროცესო კანონმდებლობით მოსამართლეს არ ექნება პირდაპირი ვალდებულება, კვლავ გაგრძელდება კვაზი სასამართლო პრაქტიკა.

30 ამ საფუძველთან დაკავშირებით საინტერესოა ასევე, ევროსასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „კონტრადა იტალიის წინააღმდეგ“ (საქმე N92/1997/876/1088 (24.08.1998) სადაც არ დაადგინა მე-5 (3) მუხლის დარღვევა.

31 სსსკ-ის 197-ე მუხლი.

32 იხილეთ: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის გადაწყვეტილებები აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე: N10ა/110, N10ა/1388, N10ა/973, N10ა/1101-24, N10ა/910, N10ა/6165.

33 სსსკ-ის 198-ე მუხლის მეხუთე ნაწილი.

4. ბრალდებულის მიერ დაცვის უფლების რეალიზების მნიშვნელობა პატიმრობის ინდივიდუალური დასაბუთებისას

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედებს შეზღუდვებითობის პრინციპი, რომლის შესაბამისად, საქმეზე მტკიცებულებების მოპოვების უფლება აქვთ მხოლოდ მხარეებს. სასამართლოს არ შეუძლია მოიპოვოს მტკიცებულებები ან აწარმოოს გამოძიება. პატიმრობაში მყოფი ბრალდებული, ფიზიკურად ვერ შეძლებს საკუთარ საქმეზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარებას. მიგვაჩნია, რომ თუ სასამართლო გამოიყენებს პატიმრობას, ადვოკატის ჩართვა საქმეზე სავალდებულო უნდა გახდეს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს ეყოლება ადვოკატი, ის შეძლებს დაცვის უფლებია რეალიზებას.

5. პროკურორის მიერ ბრალდებულის ინდივიდუალური გარემოებების შესახებ სასამართლოსთვის ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობა

სსსკ-ის შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის სასამართლოში წარდგენისას პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა.³⁴ ამ ჩანაწერში არ არის მითითება ინდივიდუალური დასაბუთების შესახებ, რაც პროკურორებისა და მოსამართლეების მიერ ძირითად შემთხვევაში განიმარტება ისე, თითქოს ზოგადი დასაბუთება საკმარისია. აღნიშნული ინვეს ტრაფარეტულ სასამართლოს გადაწყვეტილებებს პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ პროკურორიც და სასამართლოც მეტი გულისხმიერებით უნდა უდგებოდნენ ინდივიდუალურობის საკითხს.

საკითხზე მსჯელობისას გამოვყოფდით ობიექტურობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც პროკურატურა ვალდებულია, პატიოსნად და ობიექტურად შეაფასოს ბრალდებულის ქმედებები.³⁵ პროკურატურის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს სამართლებრივი ეთიკის უმაღლეს სტანდარტებს.³⁶

გამომდინარე იქიდან, რომ კანონმდებლობა არ ავალდებულებს ბრალდების მხარეს სასამართლოს წარუდგინოს ინდივიდუალური გარემოებები ბრალდებულთან დაკავშირებით, პროკურორი ძირითადად არ ამახვილებს ყურადღებას ასეთ გარემოებებზე. თუ ინდივიდუალური გარემოებების შესახებ თავად ბრალდებულმა არ ისაუბრა, სასამართლო ძირითად შემთხვევებში სრულ ინფორმაციულ ვაკუუმშია.

6. პატიმრობის შეფარდების შესახებ სასამართლოს განჩინების განხილვის პრობლემა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

სისხლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს პატიმრობის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ერთჯერად შესაძლებლობას სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო პალატაში.³⁷ თუმცა, აღსანიშნავია, რომ კანონი აწესებს ასეთი საჩივრის დაშვების წინაპირობას, რის გამოც, ფაქტობრივად, არ არსებობს პრაქტიკა, რომლის შესწავლასაც შევძლებდით პატიმრობის შეცვლასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია დაცვის მხარეს მიეცეს შესაძლებლობა - რეალურად ჰქონდეს პატიმრობის შეფარდების გადანყვეტილების გასაჩივრების შანსი. ამისათვის კი, სააპელაციო სასამართლომ საქმე უნდა მიიღოს განსახილველად დასაშვებობის კრიტერიუმის გარეშე.³⁸

35 ეს მოთხოვნა ხაზგასმულია გაეროს პრინციპებში, UN Guidelines for Prosecutors, 1990, 34.
36 European Guidelines on Prosecutorial Ethics", 2018.
37 სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-8 ნაწილი.
38 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის განჩინება საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ, საქმეზე N1გ/1483-17; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 06 აპრილის განჩინება საქმეზე N1გ/465.

34 სსსკ-ის 198-ე მუხლის მესამე ნაწილი.

მოქმედი ჩანაწერით ფაქტიურად შეუძლებელია გასაჩივრების მექანიზმის რეალური მოქმედება, რადგან დასაშვებობის კრიტერიუმი პირდაპირ ითვალისწინებს „ახალი გარემოების“ არსებობას საქმეზე. ამ მოთხოვნის შესრულება, ფაქტობრივად, შეუძლებელია, რადგან 24 საათში დაცვის მხარე უმეტეს შემთხვევებში ვერ შეძლებს ახალი გარემოების შესახებ ინფორმაციის მოპოვებასაც კი.

სსსკ-ის მიხედვით, პატიმრობის განჩინებასთან დაკავშირებულ საჩივარში უნდა აღინიშნოს, რა მოთხოვნები დაირღვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას და რით გამოიხატა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა. მუხლში კანონმდებლის მიერ დადგენილი სიტყვები „არსებითი მნიშვნელობის მქონე“ განსაზღვრავს, ფაქტობრივად, მთლიანად საქმის ბედს და იმ პრაქტიკას, რომელიც დღესდღეობით არის დამკვიდრებული საქართველოში. მიგვაჩნია, რომ მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა - ნებისმიერ შემთხვევაში გაასაჩივროს შეფარებული პატიმრობა.

რეკომენდაციები

იმისათვის, რომ სასამართლომ მაქსიმალურად მოახდინოს ბრალდებულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინება ალკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. კერძოდ:

- რეკომენდებულია, სსსკ-ის 197-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა“ პუნქტი: [მოსამართლე] „არკვევს ბრალდებულის საქმიანობას, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას და სხვა ინდივიდუალურ გარემოებებს“;
- რეკომენდებულია, სსსკ-ის 198-ე მუხლის მეხუთე ნაწილში სიტყვა „ითვალისწინებს“ შეიცვალოს სიტყვებით „ვალდებულია გაითვალისწინოს“. შესაბამისად, მეხუთე ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ალკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის

გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს ბრალდებულის პიროვნება, მისი საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, ადრე შეფარდებული რომელიმე ალკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი და სხვა ინდივიდუალური გარემოებები“;

- მნიშვნელოვანია, სსსკ-ის 199-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2.1 ნაწილი: „სასამართლო ვალდებულია პრიორიტეტულად განიხილოს არასაკატიმრო ალკვეთის ღონისძიების და საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად დამატებითი ღონისძიებების გამოყენების საკითხი“;
- მიგვაჩნია, რომ სავალდებულო დაცვასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ცვლილება უნდა აისახოს სსსკ-ის 45-ე მუხლში და „ლ“ ქვეპუნქტის მოქმედმა რედაქციამ უნდა ჩაანაცვლოს „მ“ ქვეპუნქტი, ხოლო „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „თუ გამოტანილია განჩინება პატიმრობის ან პატიმრობით უზრუნველყოფილი გირაოს გამოყენების შესახებ“;
- რეკომენდებულია, სსსკ-ის 198-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ალკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია ინდივიდუალურად დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი ალკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი ალკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა“;
- მიგვაჩნია, რომ სსსკ-ის 198-ე მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.1 ნაწილი: „ალკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის მოთხოვნის შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს ანგარიში ბრალდებულის ინდივიდუალური გარემოებების შესახებ“;
- რეკომენდებულია, სსსკ-ის 206-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 8.1 პუნქტი: „მხარე უფლებამოსილია ბრალდე-

ბულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში, პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით“;

- პატიმრობის გასაჩივრების შესაძლებლობა მხარეს უნდა ჰქონდეს ნებისმიერ შემთხვევაში. შესაბამისად, სსსკ-ის 207-ე მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პირველი პრიმა ნაწილი: „სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს, რომელიც ეხება პატიმრობის გამოყენებას, შეცვლას ან გაუქმებას, განიხილავს ერთპიროვნულად, მისი შეტანიდან არაუგვიანეს 72 საათისა. მოსამართლე საჩივარს განიხილავს ზეპირი მოსმენით, ამ კოდექსით დადგენილი წესით“.

დასკვნა

სტატიაში გამოიკვეთა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში პატიმრობის გამოყენე-

ბისას, მისი ინდივიდუალურად დასაბუთების პრობლემატური საკითხები. გამოიკვეთა - თუ რა საფუძვლებს მიიჩნევს სამართლიანად ევროპული სასამართლოს პრაქტიკა აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენებისას. ამასთან, ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ პატიმრობის ნებისმიერი საფუძველი უნდა იყოს რეალური და ინდივიდუალურად დასაბუთებული. გაუმართლებელია აბსტრაქტულ საფრთხეზე მითითებით ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იქნას პატიმრობა. თუ პატიმრობის გამოყენების გარდაუვალობა ინდივიდუალურად დასაბუთებული არ იქნება, სასამართლომ უნდა გამოიყენოს სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. ჩვენ მიერ შემოთავაზებული იქნა რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისკენ. მიგვაჩინია, რომ აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს სამართლიანი, დემოკრატიული ქვეყნის განვითარებას და საქართველოს ევროპული მომავლის შექმნას.

ბიბლიოგრაფია:

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 09/10/2009 (2024 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით).
2. საქართველოს კონსტიტუცია 24/08/1995 (2024 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით).
3. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (1950 წლის 4 ნოემბერი).
4. „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი 19/06/2007 (2024 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით).
5. ავტორთა ჯგუფი, (2012), საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბილისი, 215.
6. ავტორთა ჯგუფი, გ. გიორგაძის რედაქტორობით, (2015), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 558.
7. „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, (2013), თავი მეორე. გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 130.
8. ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., (2013), ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 106, 109-110.
9. კორკელია კ., ქურდაძე ი., (2004), ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 42.
10. ლიჩი ფ., ლევის-ენტონი ს., სტრაისტეანუ დ. და სხვ., (2009), თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (მე-5 მუხლი), თბილისი, 13.

11. მჭედლიძე ნ., (2017), საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 50.
12. ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, (2012), საია, თბილისი, 49.
13. ფაფიაშვილი ლ., (2010), დაკავების და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში, სტატიათა კრებული. თბილისი, 176-177.

ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის № 2/1/415 გადაწყვეტილება, II-1.
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 26 ივნისის საოქმო ჩანაწერი #646, II-40.
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 მაისის განჩინება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, საქმე no. 10ა/3042-14.
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 ივლისის განჩინება აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ, საქმე no. 1/953-13, გვ. 2..
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის განჩინება საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ, საქმეზე N1გ/1483-17.
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 06 აპრილის განჩინება საქმეზე N1გ/465.
7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 12 იანვრის განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე (N10ა/110).
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 06 მარტის განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე (N10ა/1388).
9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 22 თებერვლის განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე (N10ა/973).
10. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 27 თებერვლის განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე (N10ა/1101-24).
11. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 20 თებერვლის განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე (N10ა/910).
12. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 18 ოქტომბრის განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე (N10ა/6165).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. Yevgeniy Gusev v. Russia, [2013], ECtHR, no. 28020/05, §87.
2. Aleksandr Makarov v. Russia, [2009], ECtHR, no. 15217/07, §129.
3. Aleksandr Makarov v. Russia, [2009], ECtHR, no. 15217/07, §134.
4. Bykov v. Russia, (2009) ECHR, no. 4378/02, §64.
5. Lakatoš and Others v. Serbia, (2014) ECHR, no. 3363/08 §97.
6. A.B. v. Hungary, (2013) ECHR, no. 33292/09 § 23-26.
7. NikolaiSvili v. Georgia,[2009], ECHR, no. 37048/04 §52-53.
8. Mikhailchuk v. Russia, [2015], ECHR, no. 33803/04, §53-59.
9. Ahmet Ozkan and other v. Turkey, [2004], ECHR, no. 21689/93, §397-398.
10. Belchev v. Bulgaria, [2004], ECHR, no. 39270/98 §82.
11. Kostadinov v. Bulgaria [2008], ECHR, no. 55712/00 §78-80.
12. Becciev v. Republic of Moldova [2005], ECHR no. 9190/03, §58.
13. W. v. Switzerland, [1993], ECHR, no. 14379/88 §33.

უცხოენოვანი ლიტერატურა:

1. CCPR/C/GC/35, General Comment No35 – article 9 (Liberty and Security of Person), 28.10.2014, I-3, I-5, I-6.
2. UN Guidelines for Prosecutors, 1990, 34.
3. European Guidelines on Prosecutorial Ethics", 2018.
4. Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights, Updated on 30 April 2018, pg. 36, § 203.

ელექტრონული წყაროები:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე განთავსებული სტატისტიკური მონაცემები (ბოლო გადამოწმების თარიღი 1 დეკემბერი, 2024 წ.) <https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/statistics/sisxli2023.pdf>